გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 18 ნოემბერს,

ბენეფისი

ქ. ა. აბაშიძისა

რომელშიაც პირველად მიიღებს მონაწილეობას ამ სეზონში

მ. მ. საფაროვისა

და აგრეთვე

ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით.

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

ხანუმა

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. თხზ. ა. ცაგარლისა

II

გულმა იგრძნო

დრამ. ეტიუდი. 1 მოქმედ. თარგმ. მ. მ. საფაროვისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასასრულ

დიდი დივერტისმენტი

მონაწილეობით: ქ-ნ: გაბუნია-ცაგარლისა; ბ-ნნი: ფორკატი, რატიანი, პეტროსიანი, არაქსიანი და ყიფიანი.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116).

(30—15)

მიხ. ალ.-ძე ნასიძე

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—5)

ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში

მისაღები ეგზამენები დაიწყება ამა წლის 3 დეკემბერს

(3—167—2)


ტფილისი, 17 ნოემბერი

ცნობილი რუსული ჟურნალი „Вѣстникъ Европы"-ს ნოემბრის წიგნში მოთავსებულია ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ ვლადიმირ სოლოვიოვისა. წერილი პატარაა, სულ ოთხი ფურცელია და სათაურადა აქვს: რითი ეშველება ერის კეთილ-დღეობასაო.

დიდი ხანია რუსულს ლიტერატურაში ჩვენ არ შეგვხვედრია ისეთი თამამი და გაბედული, ორიგინალობით სავსე ლაპარაკი, როგორიც არის ლაპარაკი ბ-ნის სოლოვიოვისა ამ პატარა წერილში. რადგან შესაძლოა, რომ ყველა ჩვენმა მკითხველმა ვერ იშოვოს ზემოდ დასახელებული რუსული ჟურნალი და ვერ დასტკბეს იმ წერილის წაკითხვით, ამისათვის ვეცდებით მოკლედ გიამბოთ მისი შინაარსი.

ბ-ნი სოლოვიოვი მწუხარებითა და გულ-მტკივნეულობით ამბობს, რომ მთელის რუსეთის ერი გაღარიბდა, გაღატაკდა, ჯანი გაუტყდა და ღონე გამოელიაო. ხვნა-თესვით სული ვეღარ მოითქვა, მიწა გამოიფიტა, მოსავალს აღარ იძლევა და ერი სასოწარკვეთილებას მიეცაო. ორი-სამი წელიწადია, მოსავალი აღარ მოდის, დედამიწა გაშრა, გახმა, ტყეები გაიჩეხა და, საცა წინად მშვენიერი მწვანე ბიბინებდა, დღეს თიხამა და ქვიშამ გადაჰფინა ნიადაგიო. ჩვენს მასაზრდოებელს, ჩვენს დედა-მიწას ახირებით მოვექეცით, გამოვწოვეთ სინოყივრე, ამოვაშრეთ სისველე და აბა გამოფიტული ნიადაგი რაღა მოსავალს მოგვცემსო. შარშან დედა-მიწა ყოფილა გამომშრალი არშინ-ნახევარზედ, ეხლა სამს არშინზეა. რასაკვირველია, ამისთანა ნიადაგი არავითარს მოსავალს აღარ მოიყვანსო.

მართლაც, რუსეთის ყოველ მხრიდგან სამწუხარო ამბები მოდის: ანეულები ვერ დაითესა, მერმისსაც შიმშილი მოგველისო; წელს ხომ, ზამთარში თუ მთავრობა არ დაეხმარა, შიმშილით გაწყდება ხალხიო.

ბ-ნ სოლოვიოვის სიტყვით, ვორონეჟის გუბერნია და მრავალი კიდევ სხვა ადგილი უდაბნოს დამზგავსებია და, თუ დღესვე არ ვუშველეთ თავს, შემდეგში დაგვიანებული იქნებაო.

რითი ვუშველოთ საქმესაო? ჰკითხულობს ავტორი. ის რომ ვურჩიოთ გაღარიბებულსა და განუვითარებელ ერს, უკეთესს მეურნეობას მიჰყე ხელიო, ეს ხომ იმას ემგვანება, მკურნალმა ღატაკ ავადმყოფს ძვირფასი წამალი დაუნიშნოს და უთხრას, აი ეს წამალი გიშველისო.

დიდ სარგებლობას მოუტანს ერს, თუ გავიყვანთ არხებს, ამოვთხრით წყლის დასაგუბებელ ორმოებს, რომ ზაფხულში შეიძლებოდეს გოლვიანის ნიადაგის მორწყვა. მაგრამ ამას იმოდენა ხარჯი მოუნდება, რომ საჭირო ფულს ვერ ვიშოვნით და საქმეს ვერ განვახორციელებთ. უფრო დიდი გაჭირვება ის არის, რომ ფული უნდა დაჰხარჯოს სახელმწიფომ, ხოლო სახელმწიფო ამ ფულს იღებს ამავე გაღარიბებულ ხალხისაგან და, თუ ვერა შემოვიდა-რა, ვერცარას დაჰხარჯავს. შარშან, 1891 წელს 54 მილიონით ნაკლები აუღია მთავრობას გარდასახადი, ვიდრე 1890 წელს. შემოსავალი ერისა მაშინ იმატებს, თუ ბლომად დაჰხარჯავ ხვნა-თესვის განსაკარგებლად. საქმის ვითარება, მაშასადამე, ემზგავსება მდორე მორევში ჩაგდებულ ფოთოლს, რომელიც ერთ ალაგას ჰრიწიალობს და ვერც წინ მიდის, ვერც უკან.

ეგებ საქმეს იმით ეშველოს, რომ მამული მეტი მივცეთ გლეხს? ბ-ნ სოლოვიოვის სიტყვით, ვერცარაფერს ეს ღონის ძიება გახდება. მთლად რუსეთში არის 900 მილიონი დღიური მიწა; აქ ნაანგარიშევი არ არის მხოლოდ პოლშა და ფინლიანდია. აქედგან ასი მილიონი უვარგისი მიწაა. დანარჩენ სახნავ-სათესიდან 380 მილიონი დღიური გლეხებს უჭირავთ, თითქმის ნახევარი; ორას ოცი მილიონი ეკუთვნის ხაზინას; აქედან თითქმის ორასი მილიონი დღიური ტყეებია; ას ოცი მილიონი ეკუთვნით კერძო მამულის პატრონთ; თექვსმეტი მილიონი საუფლისწულო მამულია, დანარჩენი სამოცდა ოთხი მილიონი ეკუთვნით ქალაქებს. ასე რომ, რაც რუსეთში მამულია, სულ საკუთრებად რომ მივუზომოთ გლეხობას, ნადელი იმატებს მხოლოდ ერთი-ორად და მაშინ სულზედ მოვა ხუთის დღიურის მაგიერ ათი დღიური. მაგრამ ვერც ეს უშველის საქმეს. თუ მამული ისე გამოიფიტა, რომ ვერას დასთესამ, სულ ერთია, რამდენი დღიურიც უნდა გქონდეს: ხუთი, ათი, თუ ასი. მაგალითებიც ამას ამტკიცებს. სამარას გუბერნიის გლეხებმა, 1861 წლიდამ დაწყობილი, შეისყიდეს ერთი სამად მეტი მამული, ვიდრე ნადელში ჰქონდათ მიზომილი, მაგრამ ჯერაც არავის გაუგონია, რომ სამარელები ბედნიერად სცხოვრობდნენ. სიღარიბე იქ უფრო დიდია, ვიდრე სხვაგან.

მაშ რაღა დაგვრჩაო, სასოწარკვეთილებით ამბობს ბ-ნი სოლოვიოვი. ეგებ გვიშველოს ხალხის გადასახლებამ თურქესტანსა და ციმბირშიო? სასარგებლო რამ არც აქედამ გამოვა. თურქესტანში სახნავ-სათესი ადგილები ცოტაა; რაც არის, იმათ გაკეთებას და შემუშავებას დიდი ფული სჭირდება; ციმ-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

უმშვენიერესი კუთხე ჩვენის ქვეყნისა.—ვინ უნდა გაიყვანოს კახეთში რკინის გზა?—ნეტარ არიან მოხერხებულნი.

ჩინებული საქმე იკისრა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა. მე მოგახსენებთ შესახებ რკინის გზის შტოსი, რომელმაც ჩვენის ქვეყნის უწარჩინებულესი კუთხე, განთქმული კახეთი, უნდა დაუახლოვოს უმთავრესს გზას ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობისას. კახეთი დღეს თითქმის მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნიერობას. მისი წარმოება უმეტეს ნაწილად განსაზღვრულია შინაურის საჭიროებით. კახეთის ნაწარმოებთა შორის მხოლოდ ღვინოა ერთად-ერთი საგანი, რომელიც გასცილებია კახეთის საზღვრებს და გადასულა სხვა ქვეყნებში, დანარჩენიკი, რაც მოდის, შინაურობაშივე იხარჯება და სხვას, დაშორებულ ბაზარს, თვალითაც ვერა ჰხედავს. თვით ღვინოც უგზოობის გამო ისეთ საქონლად გარდაჰქმნია კახეთს, რომ, თუ არ ათასი შუამავალი, გარეშე ბაზარს ძლიერ ძნელად მოჰხვდებოდა. ამასთანავე, მართ ლია, შუამავლების შემწეობით კახური ღვინო დღეს გამოსულია ფართო ბაზარში, მაგრამ თვით ეს შუამავლობა ისეთს ჰირს შეადგენს კახურის ღვინისას, რომ ამ ღვინოს ტფილისის ბაზრამდისაც-კი ვერ მოუღწევია მთელის თავისის ღირსებით. ერთის მხრით უქონლობამ რიგიანის გზისამ და მეორეს მხრით შუამავლობამ ლამის გაუტეხონ სახელი, რომელიც უკანასკნელ დრომდე დავარდნილი ჰქონდა კახურ ღვინოს. დღეს კახურის ღვინის სახელით თავმოწონებული გამოდის ბაზარში თვით განჯის ღვინოც-კი, არა თუ ქართლისა და იმერეთისა. აწინდელ ყოფაში რომ დარჩეს კახური ღვინო ერთი ათიოდე წელიწადი კიდევ, მერე სრულებით წაუხდება მას ეხტიბარი ბაზარში და მუშტარს ერთიან დაავიწყდება მისი გემოცა და თვისებაც. ეს სულ უგზოობის ბრალია. ღვინის მომყვანი დაშორებულია მუშტარს და ვერ მოუხერხებია აცნობოს მხმარებელს სიკეთე თავისის ძვირფასის საქონლისა. მაგრამ მარჯვე გზის უქონლობა მარტო წარმოებას-კი არ აყენებს უკან. ეს უქონლობა თვით ხალხის წარმატებასაც ძლიერ აფოლებს. მაშინ როდესაც იმერელსა და ქართლელს ემარჯვება დაიჭიროს აღებმიცემობა ერთის ზღვის პირიდგან მეორისამდე, ნახოს ამოდენა მანძილზედ კარგიცა და ავიც, ავარჯიშოს თავისი გონება, ამ დროს კახელი კაცი იძულებულია იმოქმედოს მხოლოდ თავის კუთხის ვიწრო სამზღვრებში, იგი მომწყვდეულია მამაპაპის ადგილ-მამულში, ჰხედავს მხოლოდ იმას, რაც პატარაობითვე უნახავს და რისთვისაც დიდი ხანია შეუჩვევია თვალი. უცხო ხალხისა და სხვა ქვეყნების ნახვა ათასში ერთს კახელს ძლივს შეჰხვდება, რის გამოც მანძილი, რომელზედაც ვარჯიშობს გონების თვალი კახელთა უმეტესობისა, ძრიელ პატარაა და აქედგან, რასაკვირველია, გონების საზრდოც ნაკლებია.

გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ ეს უკეთესი და უმშვენიერესი კუთხე ჩვენის ქვეყნისა დაუკავშირდეს დანარჩენს ქვეყნიერობას ისეთის მარჯვე გზით, როგორიც არის რკინის გზა. მთავრობამ შეიწყნარა შუამდგომლობა ხსენებულის წინამძღოლისა და ნება დართო მსურველთ გაიყვანონ კახეთის გზა თავიანთის ფულით.

**

ეს ამბავი, თქმა არ უნდა, ძრიელ სასიხარულოდ დაჰრჩება ყველას. ერთი-ორის წლის უკან მატარებლის წივილ-კივილი გააპრთხობს კახეთის მშვიდობიანს ძილსა, ხალხი თვალს გაახელს, წავა-წამოვა აქეთ-იქით, ჰნახავს ქვეყნიერობას, დაეწაფება მის ავ-კარგიანობას, გაგვიცხოვლდება მისვლა-მოსვლა. ეს ყველაფერი ასე იქნება და ძალიან კარგიც იქნება. მაგრამ ამ საქმეს მეორე მხარეცა აქვს გასასინჯი და მნიშვნელობა ამ მეორე მხარისა თუ არ აღემატება, არც ჩამოუვარდება პირველისას. მე მოგახსენებთ იმას, თუ ვინ უნდა გააკეთოს ეს გზა. რკინის გზა უმეტესს ნაწილად სასარგებლოა მარტო იმ ქვეყნისთვის-კი არა, სადაც გაჰყავთ, არამედ სასარგებლოა თვით იმის ჯიბისათვის, ვინც ამ საქმეში ჩასდებს თანხას, ვინც გზის გაყვანის ხარჯს კისრულობს. სახელმწიფო ხაზინას დღეს ძლიერ ბევრი საქმეები აქვს გასაძღოლი და ამის გამო მთავრობამ ვერ გაიღო ფული კახეთის გზის გასაყვანად. ნაღდ შემოსავალს ამ გზისას ანგარიშობენ ათი-ათას თუმნობით. ვისი უფრო უპრიანია, რომ ეს ნაღდი შემოსავალი მიიღოს და ამ შემოსავლით დაიამოს ათასი საჭიროება, გაიმთელოს მრავალი იარა? რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, რომ ეგ შემოსავალი კახეთის გზისა დაჰრჩომოდა კახეთსავე. მაგრამ ჩვენს ყოფაში მარტო კახეთი ვერ გაუძლებს მაგოდენა საქმეს და, მაშასადამე, უქმი იქნება ამაზედ ლაპარაკი. ხოლო რაც ძნელია ერთის მაზრისათვის, ის ადვილია მთელის გუბერნიისთვის. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომელსაცა აქვს კარგა ღონიერი ბანკი, სრულებით არ გაუჭირდებოდა კახეთის გზის გაყვანა. ამ სახით, შემოსავალი ჩვენის ქვეყნისა ჩვენსავე ხელში დატრიალდებოდა. მერე, განა ხუმრობა საქმეა ჩვენისთანა ღარიბ ხალხისთვის ათი ათას თუმნობით წლიური შემოსავალი! რამდენისამე წლის განმავლობაში გზა ამოიღებდა თავის ხარჯსა და მერე იმდენი საკუთრება ხელთ დარჩებოდა ჩვენს თავად-აზნაურობას. სახარბიელო სიკეთე საქმის ასე დატრიალებისა კიდევ ის არის, რომ ჩვენში თავად-აზნაურობა რამდენადაც, ჩვენდა სამწუხაროდ, უხეიროდა ჰხმარობს თავის კერძო საც-

ბირში თუ ცოტას გადაასახლებთ, არაფერი გამოვა, ხოლო თუ ბევრს გავისტუმრებთ იქით, მაშინ ციმბირსაც იმას დაჰმართამენ, რაც დაემართა სამხრეთს რუსეთს: გასჩეხამენ ტყეებს, ღონეს გამოულევენ ნიადაგს და უდაბნოდ გადააქცევენ ქვეყანას. ერთის სიტყვით, ერს, რომელსაც კულტურული, მაღალი მეურნეობა არა აქვს, აზიაც არ ეყოფა, ხოლო თუ კულტურული მეურნეობა აქვს, მაშინ სრულიად მეტია ურალის იქით გამგზავრება ერის ნამეტნაობისა.

რუსებიო, ამბობს სოლოვიოვი, ძლიერი ხალხია, ჭკვიანი, ნიჭიერი და კეთილი. ვხედავთ, რომ ეს ნიჭიერი ერი ჩავარდა დიდს გაჭირვებაში. თუ გვინდა ვუშველოთ, უნდა გავიგოთ, რამ მიიყვანა ამ სამწუხარო მდგომარეობამდე. საქმეს ღრმად რომ ჩავუკვირდეთ, მივხვდებით, რომ ამ კეთილს და ნიჭიერ ერს ჰმეთაურობს ინტელიგენცია, რომელმაც ხალხს დავთრები დაუბნია. ერმა შეითვისა ცრუ აზრები, აჰყვა ცუდ-მედიდობას და დაადგა სხვათა ძულების გზას. რუსეთის ხალხი მეზობელს ემუქრება, საკმარისს პატივს არა სცემ ჩემს სიდიადესაო; შინაურებს ხომ ასეთის ჩაგონების გამო სულს უმწარებს, განდგომა გინდა, ღალატი გწადიან, ჩემს მტერს ემხრობიო. მტრებად კიდევ დასახული ჰყავს ყველა მეზობლები. მეზობელს არას უჯერებს, ასე ჰგონია, რომ დღე და ღამ სულ ჩემს მტრობაშიაო. იმის მაგიერად რომ მყუდროდ იცხოვროს, იშრომოს პატიოსნურად, მთელს თავის ქონებას და დროს ანდომებს ბრძოლას არ-არსებულ საშიშროების საწინააღმდეგოდ.

რადგან წარმოდგენილი აქვს, რომ მეზობელი მემუქრება, მომვარდება ოჯახის დასაქცევადაო, აღარავითარ ღონის-ძიებას არა ჰზოგავს, ოღონდ კარგად ვიყო მომზადებული საბრძოლველადაო. დანარჩენს დროსა და შრომას ახმარებს ისევ ბრძოლას, მხოლოდ შინაურებთანვე...

ამ სახით, რაკი შეიტყობ მიზეზს ავადმყოფობისას, ურჩევ ავადმყოფს, მაგ გზას ნუ ადგეხარ, თორემ დაიღუპებიო. თუ გაგიგონა, ხომ თავს უშველის, თუ არა და არავითარი წამალი, არავითარი ფული არ არგებს.

ყოველ ამითიო, ასე ათავებს წერილს ბ-ნი სოლოვიოვი, მე მინდოდა მეთქვა ჩვენის მწერლობისათვის, რომ იმ ერსა და ქვეყანას, რომელსაც ჰღუპავს ცრუ აზრები, ცრუ ფიქრნი და უსამართლო ცხოვრება, მარტო ოდენ ეკონომია და აგრონომია ვერას უშველის, ვერ აცოცხლებს, ვერ აცხონებს, თუ გულს არ ჩაენერგა მადლი ხიმართლისა და თუ მისი ნელი არე-მარე ჭეშმარიტების ცხოველ-მყოფელმა სხივმა არ გააშუქა.

ა. ფრონელი

## შინაური ამბები

*** უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების თავმჯდომარე, ტფილისის მთავარ-მართებლის მეუღლე ე. ბ. შემერემეტიევისა ამ თთვეში დააარსებს ქ. ტფილისში სამკურნალოს უსინათლოთათვის. კავკასიაში თითქმის 10 ათასამდე უსინათლოა და არც ერთი სამკურნალო-კი არ არის; ამიტომ ასეთის სამკურნალოს დაარსება სწორედ რომ დიდად სასარგებლო და კეთილი საქმეა.

*** წარსულ კვირას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში იყო საზოგადო კრება ახლად დაარსებულის „სახლების აშენების ამხანაგობის“ წევრთა. კრებამ მოისმინა მოხსენებანი ამხანაგობის მმართველობისა, განიხილა ყველა მორიგი საქმენი და, სხვათა შორის, გადასწყვიტა, რომ ჯერ-ჯერობით, ვიდრე ამხანაგობის თანხა არ გაძლიერდება, მოქმედება სახლების აშენებისათვის არ იქმნას დაწყებული. როცა მმართველობა ამ მომავალ იანვრის კრებაზედ, წესდების ძალით, გვაუწყებს, რა გვარად ჰფიქრობს საქმის დაჭერას, მაშინ გადავწყვეტავთ, როგორ და რა გზით აძლიოს ან სესხი თავის წევრთ, ან აშენოს სახლებიო. ამხანაგობის წევრთა კამათობამ ბევრი რამ, ჩვენთვის სასურველი, მართალი აზრი გამოარკვია და ისე სასიამოვნოდ ჩაიარა, რომ კაცი სულითა და გულით დასტკბებოდა. სწორედ იშვიათად გვინახავს ასეთი კრება, რომელზედაც ყოველი სარჩიელი და წარმოთქმული აზრი კრიტიკის ისეთს ქარ-ცეცხლში გაეტარებინოთ გულდამშვიდებითა, აუღელვებლივ და უწარა-მარო ლაპარაკით, როგორც იმ დღეს ვნახეთ. ვისურვებთ ყოველგვარ წარმატებას ამ ნორჩის ამხანაგობისათვის, რომელსაც ასეთი რთული და მძიმე საქმე უკისრნია ქვეყნის საკეთილოდ და რომლის მმართველობას თავის საქმეთა უკედ გაძღოლისათვის შეუდგენია უფრო ვრცელი, დაწვრილებული წესდება უმაღლესად დასამტკიცებლად.

*** დღეს, 18 ნოემბერს, ბანკის თეატრის დარბაზში სასიამოვნო წარმოდგენაა დანიშნული. ბ-ნ ვ. ა. აბაშიძის ბენეფისია და ჩვენი სათეატრო დასი ითამაშებს „ხანუმა“-ს, რომელშიაც ისე კარგნი არიან: ქ-ნი ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა, თვით მობენეფისე და ბ-ნი კ. დ. ყიფიანი. ამას გარდა წარმოადგენენ ვოდევილს „გულმა იგრძნო“. ამ ვოდევილში წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას ქ-ნი მ. მ. საფაროვისა, რომელიც ისე ჩინებულად და საკვირველის შნოებითა თამაშობს ამ პიესაში თავის როლს. როგორც სჩანს აფიშებიდამ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ხვალ დივერტისმენტიცა.

*** ორშაბათს, 16 ნოემბერს, კრება ჰქონდა ტფილისის ქალაქის საბჭოს. საქმეთა გრძელის სიიდგან განხილულ იქმნა მხოლოდ სარჩიელი სასანიტარო და საფინანსო კომისიისა, რომ საექიმო ნაწილი ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობისა უკედ იქმნას მოწყობილი და დაინიშნოს ხუთი ექიმი, რომელთაც მუქთად უწამლონ ღარიბ მოქალაქე ავადმყოფებს. ამ სარჩიელმა მოინდომა მთელი საღამო. ხანგრძლივის ბაასისა და კამათობის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით შეიწყნარა ჯერ-ჯერობით პირველი მუხლი სარჩიელისა, ე. ი. დაადგინა, რომ დაწესდეს ადგილი უფროსის ექიმისა, რომელიც იქნება ინსპექტორად საექიმო ნაწილისა და რომლის მოვალეობა უნდა იყოს შუ მდგომელობა ქალაქის გამგეობასა და საექიმო დაწესებულებათა შორის. ინსპექტორი უნდა ამოირჩიოს სასანიტარო კომისიამ და გამგეობამ, რომელმაც დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს საბჭოს. ჯამაგირი ინსპექტორს ორას ორმოცი თუმანი მიეცემა წელიწადში. სარჩიელის დანარჩენ მუხლთა განხილვა გადაიდო შემდეგის კრებისათვის.

*** ჩვენის გაზეთის რედაქტორმა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ გადმოგვცა ჩვენ 6 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას ორის წიგნის დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 109 მან. შესდგა სულ 115 მან.

*** გუშინ ტფილისის პოლიციმეისტერმა პოლიციის ბოქაულებს გაუგზავნა სია იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა, რომელნიც ამ წელს ჯარში უნდა გავიდნენ და აქამდე სამხედრო ბეგარის საკრებულოს არ გამოცხადდებიან. ბ-ნმა პოლიციმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, სიაში მოხსენებული ყმაწვილი კაცები მოსძებნონ და წარუდგინონ სამხედრო ბეგრის საკრებულოს. ვინც ეხლა პოლიციას დაემალება, სამართლოში იქნება მიცემული.

*** რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე წარედგინა თხოვნა ჭირნახულისა და ვენახების სეტყვისაგან დაზღვევის საზოგადოების დაარსების შესახებ ქ. ტფილისში. მსურველნი დაზღვევისა იმდენი აღმოჩენილა, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 200,000 მანათამდე შემდგარა.

*** ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის პატრონთ ი. ს. ყორღანოვმა და პ. ი. ალიბეგოვმა ქალაქის გამგეობას მიჰმართეს და სთხოვეს, ნება მოგვეცით დიდუბიდგან ნავთლუღამდე ცხენის რკინის გზა გავიყვანოთო. ამასთანავე ი. ყორღანოვსა და პ. ალიბეგოვს განუზრახავთ ეხლავე შეუდგნენ საქმეს და დაწვრილებით გამოიკვლიონ, რა დაჯდება ამ გზის გაყვანა და ამის მიხედვით დანიშნონ ბილეთების ფასები.

*** საზაფხულო თეატრის იჯარადარს ბ-ნ ფორკატის მოლაპარაკება ჰქონია იმ ანტრეპრენიორთან, რომელსაც წელს სარა ბერნარი მოუწვევია რუსეთში და მიუწერნია, სარა ბერნარს სთხოვეთ, ტფილისში ჩამოვიდეს და ხუთი წარმოდგენა გამართოსო. ანტრეპრენიორს ძლიერ ბევრი ფული უთხოვნია, 25,000 მანათი. ძლიერ საეჭვოა, რომ ბ-მა ფორკატიმ სარა ბერნარი მოიწვოს ტფილისში და მხოლოდ ხუთის წარმოდგენისათვის 25 ათასი მანათი გადიხადოს.

*** გზათა სამინისტროსთან ახლად დაარსებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს რკინის გზის შესაერთებელ შტოების გამართვა, გადასწყვიტა, ძლიერ საჭიროა ბორჯომის რკინის გზის შტოს გამართვაო და ეს საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას დაავალა.

*** ბათუმის ქალაქის თვით მმართველობას გამოეცხადა მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ქალაქის ხმოსანთა და ქალაქის გამგეობის სხვა-და-სხვა მოხელეთა არჩევანები გადაიდება იმ დრომდე, ვიდრე ქ. ბათუმს შემოღებული იქნება ახალი დებულება ქალაქის თვითმმართველობისა.

*** [illegible]: 10 ნოემბრის წინა ღამეს ავაზაკები დაეცნენ კავკავიდგან ტფილისისაკენ მომავალს ფოსტას.

---

ხოვრებელს, იმდენად, ჩვენდა საბედნიეროდ, კეთილ გონიერად და მუყაითად ეკიდება საზოგადო საკუთრებას, რომელსაც ანდომებს მხოლოდ ქვეყნის საჭიროებას და მის წარმატებას. იქნება თქვენა სთქვათ, რომ ათი და ოცი ათას თუმნიანი შემოსავალი ჯერ გაუკეთებელ გზისა საეჭვოაო და მაგ საეჭვო სარგებლის განაწილება ქვეყნის სხვა-და-სხვა საჭიროებათა შორის მხოლოდ სიცილს მოჰგვრის ჭკვიან კაცსაო. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ გინდ ეგ შემოსავალი ეჭვ ქვეშაც დასტოვოთ, ის ხომ აუცილებელი საქმეა, რომ გზა თავის ხარჯს მაინც ამოიღებს, მერე ისეთი ვიწრო ლიანდაგიანი, ადვილი და იაფი გასაკეთებელი გზა, როგორიც დაამტკიცა მთავრობამ. და ეს ხარჯიც რომ გაისტუმროს და იმოდენა საკუთრება დაჰრჩეს რამდენისამე წლის შემდეგ თავად-აზნაურობას, ეგეც დიდს და ძალიან თვალსაჩინო ქონებას დაიჭერს. თქვენ იმას ნუღარ იანგარიშებთ, რამდენი ასი ქართველი კაცი გაიჩენს ლუკმას მაგ გზაზედ, რამდენი უადგილო აზნაური თუ თავადი, რამდენი განათლებული გლეხისა თუ სასულიერო წოდების შვილი იშოვნის რიგიან საქმეს გზის სამმართველოში და აგრეთვე თვით ლიანდაგზედ. ერთის სიტყვით, რომელ მხრიდანაც უნდა აიღოთ საქმე, ყოველივე მიგიყვანთ იმ აზრთან, რომ კახეთის გზის გაყვანა უფრო უპრიანია ჩვენის თავად-აზნაურობისთვის, ვიდრე გარეშეთათვის. სხვა არა იყოს-რა, ერთი ფრიად რთული საქმე კიდევ გაუჩნდებოდა ჩვენს დროებით უსაქმო თავად-აზნაურობას, რომელმაც, მიუხედავად ამ ძალაუნებურის უსაქმურობისა, იმოდენად გული დაუდო ისეთს საქვეყნო და რთულს საქმეს, როგორიც არის ბანკი და მისი ვრცელი აღებ-მიცემობა. დღეს თუ ქართველი კაცი საქვეყნო საქმეებთან მწყრალად არის, ეგ იმიტომ, რომ დაშორებულია ამ საქმეებს. აბა მოუხერხეთ როგორმე და სიახლოვეს დააყენეთ საქმესთან, ჩააყენეთ საზოგადო საქმეში, და მაშინ ჰნახავთ, რომ ქართველის კაცის გულში კიდევა ღვივის სიყვარული ქვეყნის სამსახურისა.

**

ყოველ ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვამბობთ, რომ კახეთის გზის გაყვანა უეჭველად უნდა ეკისრნა ჩვენს თავად აზნაურობას, და კარგსაც ინებებდა ბ-ნი წინამძღოლი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, რომ რკინის გზის გაყვანის შუამდგომელობასთან ერთად ეთხოვნა მთავრობისთვის თვით ამ საქმის შესრულება და წარმოება მიენიჭებინათ თავად-აზნაურობისთვის.

დღეს-კი ხმა დავარდა, ვითომც კახეთის გზის კონცესია მთავრობას გარდაეცეს კერძო კაცებისათვის... ნეტარ არიან ამ წუთი სოფელში მოხერხებულნი. ამის მეტი არა გვეთქმის-რა. ეჰ, უცნაური ხასიათი დაგვჩემდა ქართველებს! ვზივართ არხენად და ერთს წუთს არ მოგვივა ფიქრად, რომ ათასია მზვერავი, ათასი გვახვევია გარშემო თვალ-გაფაციცებული და ჰფიქრობს, აცა სად რა ხეირი და გამოსარჩომია ამ ტურფა ქვეყანაშიო. ყველა ასე გაფაციცებულია, ყველა სცდილობს რამე, და შენ-კი, ჩემო ქართველო, მოგიღერებია ყელი, დაგიდგავს წინ ბოზბაშით სავსე ჯამი, აგერ ხუთის თითით ამოიღე ბარაქიანი მამა-პაპური ლუკმა, ჰა, პირიც გაჰხსენი, რომ მაგ ლუკმას უჩვენო გაკვლეული გზა და... უცებ გამოტყვრა შენი მეზობელი, დაავლო ყბა შენს ლუკმას და გადაყლაპა! შენ-კი დარჩი ყბადაღებული, გაშტერებული, გასახტებული. ერთხანად იქნება კიდეც გაჰჯავრდე, მაგრამ მოგაგონდება ძველებური ვაჟკაცური, გამამხნევებელი სიტყვები — „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“, და ისევ დაიმშვიდებ აღელვებულ გულსა. ასე იმაგრებ გულს, ვიდრე სულ ყველაფრიდგან არ დაგსმენ ცარიელზედ, და ერთხელაც არ ჩაუფიქრდები შენს ავ-კარგიანობას, შენს თავგადასავალს. მაგ გამამხნევებელ სიტყვებს თავისი დრო ჰქონია და მაშინ პირველი ადგილიცა სჭერია. მართალია, სიმაგრე გულისა ეხლაც კარგია, მაგრამ ცარიელი სიმაგრე დღეს საკმარისი აღარ არის. გაიგე და შეიტყე, რომ გულის სიმაგრე უნდა შეამკო მიხვედრილობით და ჭკვიანურის ანგარიშით, თორემ უამათოდ დღეს ველარავინ ვერ გაივლის გძელს მანძილს ცხოვრებისას...

მაგრამ შესაძლოა, რომ ჯერ არა ჰქონდეს მთავრობას გაცემული კონცესია კახეთის გზისა, ტყუილად იყოს ხმა დაყრილი და ამიტომ არც დაგვიანებული იყოს საქმე. ამიტომ კარგს ინებებდა ბ-ნი წინამძღოლი გუბერნიის თავად-აზნაურობისა მოეწვია საგანგებო კრება თავად-აზნაურთა და მიერთმია თხოვნა მთავრობისთვის, რომ კახეთის და თვით შემახის შტოთა გზების გაყვანა მიენიჭოს თავად-აზნაურობას. სარწმუნოდ უნდა ვიყვნეთ, რომ მთავრობა ამ თხოვნას შეიწყნარებს, რადგან ისეთს სანდოს ვერავის გარდასცემს გზის კონცესიას, როგორიც სანდოც არის ჩვენი თავად-აზნაურობა, რომლის ბანკი ატრიალებს თითქმის თორმეტ მილლიონ მანეთს ფულს. გინდაც აღმოჩნდეს, რომ მართლა ხსენებულ კერძო კაცებს უკვე მიუღიათ კონცესია, მაინც უნდა ეცადოს თავად-აზნაურობა და როგორმე გამოისყიდოს ეს კონცესია. რუსეთის ცხოვრების მაგალითებიდგან ვიცით, რომ კონცესიას მომეტებულ ნაწილად ისეთი კაცები აიღებენ ხოლმე, რომელთაც არც ერთი გზა არ გაუკეთებიათ და არც თავიანთ დღეში გააკეთებენ. მერე ამ კონცესიას გარდასცემენ გზის მკეთებლებს, რომელთაგანაც კარგს სასყიდელს ამოიღებენ ხოლმე...

ერთის სიტყვით, ამ საქმეს დახანება არ უნდა. სყიდვით იქნება თუ რითაც, თავად-აზნაურობამ უნდა იხმაროს ყოველი ღონის-ძიება, რომ ეს გზა ხელიდგან არ გაუშვას და რომ „ლუკმა გავარდეს, — ჯამშივე ჩავარდეს“.

სანო

ღამის ასე 1 საათი იქნებოდა, კავკავიდგან რომ ფოსტა წამოვიდა. ფოსტა რამდენსამე ფურგუნს მოჰქონდა. მეექვსე ვერსზედ, ულანოვის ბაღის მახლობლად, ერთი ფურგუნი დანარჩენებს ჩამორჩა. ფოსტას სამი ყაზახი მოჰყვებოდა. უეცრად გაისმა თოფების გრიალი. მეფურგუნეებმა ცხენები გამოაჰქენეს. ერთს ყაზახს რამდენჯერმე ესროლეს თოფი ავაზაკებმა, მაგრამ ტყვიები ცხენს მოხვდა. ყაზახი-კი უვნებლად გადარჩა. თოფის ხმაზედ მოიჰრნენ გზის დარაჯები. ავაზაკები გაიქცნენ და ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** ბათუმი: ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ საჭიროა ეხლა მუშა-კაცი ბათუმში. ყველა მხრიდგან ჩვენს ნავთსადგურს ათასობით აწყდება გემები, რომლებიც ნავთის მწარმოებელთ აქვთ დაქირავებული. ამ გემებში უმეტესობა როტშილდს დაუქირავებია, რომელსაც იტალიასთან პირობა შეუკრავს, კავკასიიდგან ნავთს მე მოგიტანთო. ამიტომ ჩვენს ნავთ-სადგურში დიდი მუშაობაა და მუშა-კაცი-კი არსად იპოვება. ვინც იყო, ხოლერამ ძლიერ დააშინა და გაიქც-გამოიქცნენ. დღიური მუშა 80 კ. 1 მ.—50 კაპ. ჰღირს. ხოლერის გარდა მუშები კიდევ იმიტომ არ მოდიან ბათუმში სამუშაოდ, რომ სახლები ძლიერ ძვირია. მუშა-კაცს ამ ჟამად ან სრულიად არ აყენებენ სახლში, ან არა და თითო პაწია ოთახში თითვეში 5—6 მანათს ართმევენ. ცოლშვილიანისთვის სახლი უფრო ძვირია. ზოგჯერ მუშა-კაცი სრულიად ვერა შოულობს სახლსა. ხოლერის გაჩენამდე მუშა-ხალხი კიდევ იოლად მიდიოდა. მაგრამ ხოლერის დროს სასანიტარო დასებმა ქალაქი გასინჯეს და მუშების თავშესაფარი ასამდე ფიცრული შენობა დაანგრიეს. საჭიროა ქალაქის მმართველობამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს. ძლიერ კარგი იქნება, რომ ნავთის მწარმოებელთ რამდენიმე სახლი ააშენონ, მაგ. სოფ. პარუხანას, და თითო ოთახი იაფ ფასად მიაქირავონ მუშებს. („Нов. Обоз.“)

*** გაზეთ „Кавказъ“-ს დეპეშითატყობინებენ ქუთაისიდგან: 15 ნოემბერს შეამჩნიეს, რომ ფოსტის საღაროს ქვეშ ვიღაც ავაზაკებს მიწა გაუთხრიათ და განზრახვა ჰქონიათ ფული მოეპარათ, მაგრამ ვერ მოუსწვრიათ.

*** გაზეთ „Нов.“-ის გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს, შესახებ იმისა, რომ შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზედ ახალშენები გაიმართოს რუსეთიდგან გადმოსახლებულთათვის.

*** 16 ნოემბერს მირზოევის პანსიონში მოსწავლე კოლეჟსკი სოვეტნიკის შვილმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ჰიჰინაძემ, 17 წლისამ, ალექსანდრეს ქუჩაზედ თავის დედის სადგურში თავის მოკვლა განიზრახა და წყალში გახსნილი წუმწუბა დალია. ჰიჰინაძე საავადმყოფოში გაჰგზავნეს და მორჩენის იმედიცა აქვთ.

*** ამავე დღეს მუშტაიდის ბაღთან მტკვრის პირას პოლიციელმა იპოვნა გვამი ვოლოგდის ეპარქიის მღვდლის შვილის ივანე როხლეცოვისა. მიცვალებულს ბარათი უპოვნეს, რომელშიაც ეწერა, რომ ჩემს მოკვლას ნუვის დააბრალებთო. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ არ იციან.

## კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

16 ნოემბერი

კრება დაიწყო საღამოს 7 საათზედ. მარტო წევრნი სამკურნალო საზოგადოებისა 57 იყო და დანარჩენი დამსწრენი 30-მდე იქნებოდნენ, არა წევრნი ექიმნი დ გარეშე კაცნი. სამეცნიერო, სპეციალურ საზოგადოებათა კრებას, სამწუხაროდ, წევრთა გარდა ძვირად თუ ვინმე ესწრება; მაგრამ ამ საღამოს გასარკვევ საგანს მარტო სპეციალისტებისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა. ეს საგანი იყო წინა კრების გადაწყვეტილება იმის თაობაზედ, რომ ითავოს და მოიწვიოს თუ არა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ კავკასიის ექიმები ტფილისში საერთო რჩევისათვის, თუ რა ღონისძიებით და საშუალებით უნდა გაემკლავონ მომავალ წელს ხოლერას. საზოგადოების წევრთა წინანდელ კრებას ეს საგანი პრინციპიალურად 36 ხმის უმეტესობით წინაღმდეგ 4-ისა გადაეწყვიტა, მოვიწვიოთ პირველი კრება კავკასიის ექიმთა ტფილისში და ამ კრების პროგრამმის შესადგენად და დროს დასანიშნავად კომისიაც ამოვირჩიოთო.

კრების დ წყების უმალ საზოგადოების მდივანმა, ბ-მა გრიგორი ვმა წაიკითხა ოქმი წინანდელ კრებისა და სადეზინფექციო საშუალებათა გამო კრების ამ ე დაწერილი გარდაწყვეტილება: ორთქლისა დ „სულემის“ ხმარება უფრო გონივრულ და შესაფერ სადეზინფექციო საშუალებად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ამ ზაფხულს მიღებულ სადეზინფექციო საშუალების შესახებ საგანი გაურკვეველი დარჩა. მცირეოდენი კამათობა გამოიწვია ასეთმა რედაქციამ წინანდელ-კრების გარდაწყვეტილებისამ. ზოგნი ამბობდნენ, თუ ორთქლი და „სულემა“ უფრო გონივრულ საშუალებადაა აღიარებულიო, და ამიერ კავკასიის რკინის გზაზედაც ორთქლს ხმარობდნენ ამ ზაფხულს სადეზინფექციო საშუალებად, მაშ ამის შესახებ საგანი რად უნდა იყოს ისევ გასარკვევიო: ან ორთქლი და „სულემა არ არის უფრო გონივრული საშუალება, ან და რედაქცია გარდაწყვეტილებისა არ არის რიგიანიო. მდივანმა ასე შესცვალა ეს რედაქცია: ორთქლი და სულემა სა უკეთესო სადეზინფექციო საშუალებაა, მაგრამ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე როგორა ხმარობდნენ ამ საშუალებასა ამ ზაფხულს, ამის შესახებ კამათობა და მსჯელობა არ დაბოლოვებულაო. შემდეგ მდივანმა აცნობა კრებას, თუ რომელმა ექიმმა და დაწესებულებამ რა წერილითა და წინადადებით მოჰმართა ჩვენს საზოგადოებასაო. ამ მოხსენებათა შორის წაკითხულ იქმნა საყურადღებო წერილი პეტერბურგის კერძო საეკონომიო საზოგადოებასთან დაარსებულ რუსეთის წერა-კითხვის საზოგადოებისა კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ჰმართ. ამ წერილის შინაარსი ის არის, რომ რუსეთის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განუზრახავს, რუსეთის გამოჩენილ მწერალისა და სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის დაუვიწყარ მებრძოლის, აწ უკვე მიცვალებულ მიხეილ ევგრაფის ძის სალტიკოვ-შჩედრინის სახსოვრად სახალხო წიგნების ლაბეჭვა. ამიტომ რუსეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სთხოვს კავკასიის განათლებულ და შჩედრინის პატივისმცემელ ექიმთ, მიაწოდონ თავიანთი წვლილი იმ საქმისათვის, რომელიც განუზრახავს საზოგადოებას.

სამწუხაროდ, კრებამ ყური მოუყურა წერილს და არა სცნო საჭიროდ მისი მთლიანად დაბეჭდვა კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ჟურნალში. მხოლოდ ზოგიერთმა ექიმმა განაცხადა, რომ ვისაც ჰსურს წვლილის მიწვდენა, თვითონ გაუგზავნის და ამიტომ საზოგადოების ჟურნალში მხოლოდ ამ წერილის მიღების ამბავი და ადრესი პეტერბურგის საზოგადოებისა მოვიხსენიოთო.

შემდეგ მდივანმა წაიკითხა კავკასიის ექიმთა მომავალ პირველ კრების საქმის შესახებ კომისიისაგან შემუშავებული პროგრამმა. აი ამ პროგრამმამ და თვით ექიმთა კრებამ მოწვევის საქმემ გამოიწვია კამათობა წევრთა შორის. ერთნი ამტკიცებდნენ, სულ არაა საჭირო ასეთი კრებაო, რადგან პეტერბურგში 13 დეკემბერს ამავე აზრით იმართება ასეთი კრებაო; მეორენი-კი ამბობდნენ: კრება საჭიროა, მაგრამ კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამმა ვრცელიაო.

ექიმი არტემიევი: მე მგონია, ის საგნები, რომელიც სურს საზოგადოებას კავკასიის ექიმთა საერთო კრებაზედ გაარკვიოს, უამკრებოდაც შეიძლება გაირკვეს. სამკურნალო საზოგადოებამ თავის ჩვეულებრივ სხდომებზედ გაარჩიოს, გაარკვიოს ეს საგნები და აუწყოს პროვინციის ექიმებს. ხოლო თუ ამ ექიმებისაგან ჩვენ გვსურს რაიმე მათი დაკვირვება და კერძო შეხედულობა—აზრის გაგება, განა არ შეიძლება მივსწეროთ იმათ, რომელნიც წელს ხოლერას ებრძოდნენ ქალაქად, დაბად და სოფლად, ყოველივე გვაუწყონ წერილით. ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია კავკასიის ექიმთა კრება.

ექიმი პავლოვსკი: ბ-ნ არტემიევის აზრი მით უფრო მართალია, რომ 13 დეკემბერს პეტერბურგში მოხდება მთავრობის თაოსნობით მთელ რუსეთის ექიმთა კრება და ჩვენის ქვეყნიდგანაც მიწვეულნი ვართ მსურველნი. რასაც პეტერბურგის კრება დაადგენს და გამოარკვევს მომავალ წელს ხოლერასთან ბრძოლის შესახებ, ის ჩვენთვისაც გამოდგება და სავალდებულოცააო. რა და საჭიროა ჩვენთვის საკუთარი კრებაო.

ექიმი გლაჰსკი: საჭირო არ არის კავკასიის ექიმთა მომავალი კრება და შეუძლებელიცაა სხვა-და-სხვა კუთხიდგან ექიმების მოწვევა, რადგან თავიანთს საქმეს თავს ვერ დაანებებენ.

ამასთანავე ერთმა ექიმმა განაცხადა, რომ ექიმები პროვინციიდგან თავის ხარჯით არ მოვლენ და ესეც ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ექიმთა მომავალ კრების გამართვისაო.

ამ ნაირად კავკასიის ექიმთა მომავალ კრებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ უმრავლესობას-კი ჰსურდა კრების გამართვა. ერთმა ექიმმა განაცხადა: კავკასიაში 700 ექიმია, ამათში პეტერბურგის კრებაზედ კავკასიიდგან 2—3 დაესწრება, რადგან მეტსაც არ იწვევენ. ჩვენთვის-კი ცალკე კრების გამართვა მით უფრო საჭიროა, რომ კავკასია თავისებური ბუნების ქვეყანაა და საჭიროა სხვა-და-სხვა კუთხის ექიმები ერთად მოგროვდნენ, თავ-თავიანთი დაკვირვება ხოლერასთან ბრძოლის დროს, თავ-თავიანთი აზრი და გულნადები ერთმანეთს გაუზიარონ და ასეთი აზრთა გაზიარება და საერთო პლანის შედგენა ხოლერასთან საბრძოლველად მომავალ წელს ფრიად საჭიროა და მისი უარ-ყოფა შეუძლებელიაო. მასთან ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთი კრება ჩვენში პირველი იქნება, ხოლერის გამო გამოწვეული, და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, სხვა სენის შესახებაც გაგვიადვილდება ამ გვარ კრების გამართვაო.

ბ-ნ არტემიევის წინადადებით, ბარათები ჩამოატარეს და ხმები მოკრიბეს იმის შესახებ, ხელმეორედ კენჭი ეყაროს თუ არა კავკასიის ექიმთა მომავალ კრების გამართვის საგანს. ხმის უმეტესობით გადაწყდა დაბოლოვებით, რომ მოხდეს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების თაოსნობით კავკასიის ექიმთა კრება და ამის ნება-რთვის აღება უმაღლესს მთავრობისაგან ეხლავე შეუდგეს საზოგადოებაო.

შემდეგ გაიმართა კამათი იმის შესახებ, თუ როდისაა უფრო შესაძლებელი კრების დანიშვნა, ან პროგრამმა შეიცვალოს თუ არაო. უმრავლესობა თხოულობდა, რომ კრება დაინიშნოს, რაც შეიძლება ადრე, რათა ახალ-გაზაფხულს, მოსალოდნელ ხოლერის გაჩენის უმალვე მზად და შეიარაღებულნი ვიყვნეთო... კომისიას-კი, რომელსაც კავკასიის ექიმთა მომავალ კრების პროგრამმა შეემუშავებინა, ვერ დაენახა შესაძლოდ მარტ-აპრილზედ უფრო ადრე კრების მოწოდება.

ექიმი ლუნკევიჩი (თავმჯდომარე ამ საღამოს კრებისა). მარტზედ ადრე ვერ მოხერხდება კრების გამართვა, რადგან ამისათვის ნება-რთვა უნდა ავიღოთ და პროვინციელ ექიმებთან მიწერ-მოწერისა და მათ-მიერ კრებაზედ გასარკვევ საჭირო საგნების მომზადებისათვის ორი სამი თვე მაინც არის საჭიროვო.

მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: კრება თებერვალზე გვიან არ შეიძლება დაიწყოს, პროგრამმა შეუცვლელი დარჩეს და ყოველივე ახლავე ეუწყოს პროვინციიდგან მოსაწვევ ექიმებსაო. ხოლო რაც შეეხება ნება-რთვის აღების საქმეს, ამასაც ახლავე შეუდგეს სამკურნალო საზოგადოებაო..

ამით დაბოლოვდა ამ საღამოს კრება—11 საათზედ და სხვა საგნებზედ მსჯელობა შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ცხინვალი.** ვისაც-კი ცხინვალი უნახავს, არ შეიძლება არ ახსოვდეს, რომ დღესაც დარჩენილია ძველად აშენებული ქვითკირის ხიდის ბურჯები ლიახვზედ; დღესაც არიან მომსწრენი იმ დროისა, როცა ხიდი ყოფილა იმ ადგილს. თ. ვარანცოვის მთავარ-მართებლობის დროს, როდესაც კავკავამდე ხრეშ-დაყრილ გზას აკეთებდნენ ცხინვალზედ, გააუქმეს ეს ხიდი და ზემოთ, სადაც პირდაპირ შარა გზა გადიოდა, იქ ააშენეს გაღმა-გამოღმით კიდევ ქვით-კირის ბურჯები და ზედ ხის ხიდი გააკეთეს. ამ ხიდმა 1865 წლამდე გასძლო, რამდენიმე წელიწადი აკონკა სოფელმა და დიდ გაჭირვებაში იყო ხალხი. იმ ხანებში გაუჩნდა ცხინვალელებს ცნობილი დურგალი, ხიდების გამკეთებელი ამირანა და ისეთი მკვიდრი ფიცრის ხიდი გაუკეთა ცხინვალელებს, რომ უკეთუ კარგად ყური ევდოდ, საუკუნეს გასძლებდა; ეს ხიდი, სოფლის დაუდევრობით და უალაგო ალაგას წყლის დენით დალპა და, აგერ ხუთი წელიწადია, აკონკეს, მაგრამ ვეღარა მოუხერხეს-რა. ბევრი უბედურებაც მოხდა თუ ხალხისა და თუ საქონლის გადავარდნით. აი ამ გაჭირვებამ მიაღწია მთავრობის ყურამდე და ზოგი უმაღლესმა მთავრობამ, ზოგი მაზრამ, ზოგი სოფელმა გამოიღეს თავი, ჩამოვიდნენ ფულს და ხელახლათ ააშენეს ხიდი იჯარის გაცემით. მაგრამ ვაი თქვენს მტერს, რომ ეს ხიდია, თაღები და გასაყარი ხეები ძალიან სუსტია, ასე რომ ერთი ცხენის გავლა ხიდს არყევს; ეტყობა მასალა სუსტი არის ნახმარები. ეს კიდევ ისე სანაღვლელი არ არის, როგორც ისა, რომ ხიდი გათავებულია და ერთად-ერთი პირი ფაცარი აგია. როდესაც წვიმა მოდის, შიგ ხიდშივე იკარგება, სველდება ძირს მასალა და ცხადია, ერთის წლის განმავლობაში დალპება ეს ხიდი. ამისთანა ხიდს ორი პირი ფიცარი უნდა ეგოს, გული უნდა ამაღლებული ჰქონდეს და წყლის ჩასასვლელად ჩატანებული თუნუქის ანუ ცინკის მილები, რომ წყალმა პირდაპირი გზა იპოვოს; აგრეთვე ხიდის ძირის მასალა უნდა ნავთ-წასმული იყოს, რომ წვიმა აისხლიტოს და არ დალპეს. ამასთანავე ძირის ბურჯები გამოთხრილია და, თუ არ გამოშენდა, სრულებით დაინგრევა ბურჯები.

რაც შეეხება ცხინვალის სხვა საქმეებს, ბევრს ცვლილებას ჰნახავს კაცი: მართალია, წრეულ ხოლერას მუსრი გაუვლია ხალხისთვის, ბევრი აუტირებია და ბევრი ოჯახი მთლად ამოუწყვეტია, მაგრამ ა ითქო ყველას დაჰვიწყებია ეს ამბავი. ეხლა სულ სხვა ზრუნვაშია ხალხი; რთვლები გაჩაღებულია და იმოდენა მოსავალია ღვინისა, ჰერჰი აღარ იშვება, და ქალაქიდამ სპირტის დიდ ბოჰკებს ეზიდებიან ღვინის შესანახად. არც ჰირნახულის მოსავალი იყო ცუდი.

ცხინვალის გარეგნობის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ცხინვალი კოხტა პატარძალივით არის მორთული. გრძელი ქუჩა ხიდიდამ მიყოლებული, ოღრო-ჩოღრო ლიახვის პირად გასწორებულია, ქვით მოფენილი და ხეები აქვს აქეთ-იქით არიგებ-ჩარიგებული. სხვა ქუჩები შიგ სოფელში ნეხვით სავსე იყო ხოლმე და ახლა გასუფთავებულია ბევრად. ხაეშ დაყრილია ქუჩები აქეთ-იქით რუებ ამოღებული და ქვით, მოფენილი, სადაც წმინდა ლიახვი სახლის პატრონებს წინ ჩამოუდით; თუ დარჩენილა ზოგიერთები და ვერ მოუსწვრიათ მათი გაკეთება, იმათაც ასე აკეთებენ ახლა. ღორებით რომ ქუჩები სავსე იყო, სად-ღა ჰნახავთ ახლა თვალით ამისთანა ამბავს.

ამასთანავე ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა ვაცნობო მკითხველს. წარსულს წელს გაზეთებში იყო ნათქვამი, რომ დარჩო მეჩითოვს დიდისა და პატარა ლიახვიდამ წყალი აჰყავს ტირიფონაში და მთავრობაც, დახმარებას ჰპირდებაო. ეხლა ინჟენერები არიან ცხინვალში და გზ.ბს ჰსინჯვენ, რომ გამოარკვიონ, რა გზით გაიყვანონ ტირიფონაში სარწყავი წყალი. თუ ეს საქმე განხორციელდა, დიდს სარგებლობას მოუტანს ტირიფონამდევე მდებარე სოფლებს გორის მაზრისას. წყალის გაყვანისა თვით, როგორც ამბობენ, მთავრობა დაპირებულია ფულს სესხად.

ალ. თუთაევი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Correspondent“-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ემილ ოლივიესი ჟურნალ-გაზეთების შესახებ. ავტორი წერილისა მოგვითხრობს, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საპოლიტიკო ცხოვრებაში ჟურნალ-გაზეთებს. აი რასა სწერს სხვათაშორის ნაპოლეონის მინისტრად ნამყოფი:

ბეჭდურ სიტყვას ისეთივე ძალა არა აქვს, როგორიც მთავრობას. ჟურნალ-გაზეთებს გაცილებით მეტი მნიშვნელობაცა აქვთ, ვიდრე მთავრობას და გაცილებით ნაკლებიც. ყველა ქვეყნის ხალხში ტრიალებს ათას ნაირი რწმენა, აზრი, წადილი, ერთის სიტყვით ათას ნაირი სურვილი. ყველა ამას ჩვენ საზოგადოების უმრავლესობის სურვილს ვუწოდებთ. ამ უმრავლესობას თავისი წარმომადგენელნი ჰყავს. ზოგი კანონიერად ამორჩეულნი — პარლამენტში და ზოგიც თავისუფალნი — ჟურნალ-გაზეთებში. პარლამენტს უფლება აქვს, ხხვა-დასხვა კანონი შემოიღოს, ჟურნალ-გაზეთს შეუძლიან ეს ახალი კანონი გასინჯოს, ასწონ-დასწონოს, დააფასოს. როგორც პარლამენტს, ისე ჟურნალ-გაზეთებს მოქმედების უფლება საზოგადოების უმრავლესობისაგანაა აქვთ მოპოვებული. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პარლიმენტის დეპუტატს ხალხის უმრავლესობა აშკარად ირჩევს, კენჭის ყრით; ჟურნალ-გაზეთის მოღვაწესაც ხალხის უმრავლესობა ირჩევს, თუმცა ისე აშკარად არა, როგორც პარლამენტის მოღვაწეს. დიდი შეცდომაა ის აზრი, ვითომ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელი კერძო კაცია, რომლისთვისაც საზოგადოების უმრავლესობას არავითარი უფლება არ მიუნიჭებია საზოგადო საქმეთა განხილვისაო. ზოგს ისე ჰგონია, რომ საჭიროა, კაცმა ფული იშოვოს, რამდენიმე მწერალი მიიწვიოს და დაარსდა ჟურნალი ან გაზეთი. საჭიროა ამას გარდა, რომ ახალის გაზეთის დაარსება თვით საზოგადოებამ იყაბულოს და ახალი ჟურნალი ანუ გაზეთი თავის გულის წადილისა და სურვილის გამომხატველად აღიაროს. წინაღმდეგ შემთხვევაში ახალი გაზეთი ფონს ვერ გავა, ვერ იბოგინებს. ჟურნალ-გაზეთი საზოგადოების საქმეთა განხილვის უფლებას ძალით არავის არ ართმევს, არა სტაცებს; ამ უფლებას აძლევს ჟურნალ-გაზეთს თვით საზოგადოების უმრავლესობა თავისისავე სურვილითა და ნება-ყოფლობით. დიაღ, ჟურნალ-გაზეთი არავის არა სტაცებს, არ ართმევს არ ავითარს უფლებას. ეს უფრო ადვილად ითქმის პარლამენტზედ, ვიდრე ჟურნალ-გაზეთებზედ. როცა პარლამენტი სცდილობს საზოგადო საქმეთა განხილვის უფლება მხოლოდ თითონ იგდოს ხელთ და სხვას-კი ამ საქმეთა განხილვა აუკრძალოს, იგი სხვას ართმევს უფლებას, იმ უფლებას, რომელიც, მართალია, ეკუთვნის პარლამენტს, მაგრამ სრულიად და სავსებით მარტო იმისთვის არ მიუნიჭებია საზოგადოების უმრავლესობას. შემცდარია აგრეთვე ის აზრიც, ვითომ ჟურნალ-გაზეთები მთავრობას ძირს ამხობენო. ჟურნალ-გაზეთების შემზღუდველი კანონები ყოფილა დირექტორიისა, პირველ იმპერიისა, რესტავრაციისა, ლიუდოვიკ-ფილიპესი და მეორე იმპერიის დროს, მაგრამ ამ ჟურნალ-გაზეთების ფრთა შემკვეცელ კანონების მიუხედავად, ყველა ზევით ჩამოთვლილი მთავრობა მაინც პირქვე დაემხო. „ჟურნალ-გაზეთების შემზღუდველი კანონები, იმ ჩალას მაგონებსო, ამბობს Fièvie, რომელსაც ქუჩაში ჰფენენ იმ სახლის წინ, სადაც მძიმედ ავადმყოფი წევს; ეს ჩალა არც ეტლებს უშლის ქუჩაში გავლა-გამოვლას და არც ავადმყოფს — სიკვდილს“.

მე სრულიადაც არ ვითხოვ ჟურნალ-გაზეთებისთვის სრულს თავისუფლებასაო, ამბობს დასასრულ ოლივიე: ჟურნალ-გაზეთის განუკითხველ თავისუფლების შემამცირებელ სხვა საშუალებათა შორის თვით ჟურნალ-გაზეთების თავისუფლად გამრავლებაა. ნიო-იორკის ერთს შტატში რვაასამდე გაზეთი იბეჭდება, გაზეთის გამრავლებას ხელს არავინ უშლის, არავინ აფერხებს, თუ გაზეთი ცილის წამებას არ მისდევს და ბოროტ-მოქმედებად არავის აგულიანებს. სხვა-და-სხვა აზრის გამოთქმა მუდამ საჭიროა, რადგანაც ამ გზით დასასრულ სიმართლე და ჭეშმარიტება გამოირკვევა.

რა კარგი ყოფილა დიდხანს სიცოცხლე! ასეთის სიმართლისა და ჭეშმარიტების გამოთქმა ისეთს მოღვაწეს, როგორიც არის ოლივიე, მხოლოდ მაშინ შესძლებია, როცა ბევრ ნაირად უსწავლებია ჭკუა და გამოცდილებას დაუბრძენებია.

---

## დეპეშა

16 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დიდმა მთავრინამ ელისაბედ მავრიკის ასულმა გუშინ მშვიდობით მოილოგინა და ეყოლა ვაჟი-შვილი.

მწერალი ა. დ. გალახოვი, 85 წლისა, გარდაიცვალა.

შაქრის მწარმოებელმა კენიგმა ფუთი შაქარი 25 კაპეიკით გააძვირა.

**ლონდონი.** შერ-აფზულმა სთქვა, რომ ავღანის ემირის ქვეშევრდომი ვარო. როგორც ეტყობა, აბდურახმან-ხანს სცოდნია განზრახვა შერ-აფზულისა და შემწეობაც აღმოუჩენია. „Times“-ის კორესპონდენტი ამბობს, რომ ეს ამბავი დიდად საყურადღებოა, რადგან ემირს ნება არა ჰქონდა, ჩიტრალის საქმეში გარეულიყოვო.

**პარიჟი.** პარლამენტის გამომძიებელმა კომისიამ მოისმინა ჩვენება პანამის საზოგადოების საქმეთა შესახებ გამომძიებელ პრინესი. პრინემ ვერ დაასახელა ვერც ერთი დეპუტატი, რომელსაც მიეღოს ფული ზემოხსენებულ საზოგადოებისაგან და არც ისა სთქვა, რომ ბარონმა რეინაკმა 10 მილიონამდე ფული მიიღო პანამის საზოგადოებისაგანაო. ამ ფულის მიღების შესახებ არავითარი გარკვეული საბუთი არა სჩანს-რა.

ბარონ რეინაკის გვამის გაჭრის გამო, პალატამ 340 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 209 ხმისა უარ-ჰყო მორიგ საქმეთა განხილვის შედგომა. ლუბეს-კი სწორედ ეს უნდოდა. მინისტრები თათბირობენ, რომ პრეზიდენტ კარნოს მიართვან თხოვნა სამსახურიდამ გადადგომისა.

### პეტერბურგის ბირჟა, 13 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8,08 | 8,11 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161¾ | 162¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,09 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240½ |
| — მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 99,62 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

---


## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—140)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

**ЗАВОДЪ**

**МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ**

**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

---

**ძღძლო თუთაევის**

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმიარაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეიგამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—46)


---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვაროზაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

---

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

---

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუგიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 17-го Ноября 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.